ნაშრომის შესრულების სტანდარტი

<u>სტანდარტი:</u>

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად კონკურასნტმა უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო ნაშრომი და აბსტრაქტი ცალკე ფაილის სახით (ნაშრომი, აბსტრაქტი ორ ენაზე).

<u>აბსტრაქტის შესრულების წესი:</u>

აბსტრაქტის მოცულობა 100-300 სიტყვა.

აბსტრაქტი შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური.

საკვანძო სიტყვები მოყვანილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ნაშრომისწარმოდგენისწესი:

სამეცნიერო ნაშრომები მიიღება ქართულ ან ინგლისურ ენებზე;

ნაშრომი მოიცავს აბსტრაქტს ნაშრომის ორიგინალ ენაზე;

სტატიის მოცულობა: მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 10 გვერდი;

საკვანძო სიტყვები მოყვანილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

- შესავალი, რომელიც მოიცავს ნაშრომის აქტუალობას;
- ძირითადი ნაწილი, რომელიც მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიასა და მიღებულ შედეგებს;
- დასკვნითი ნაწილი, რომელიც მოიცავს მიგნებებს, შესაძლო რეკომენდაციებსა და სამომავლო პერსპექტივებს.

ავტორის (ავტორების) სახელი, გვარი, უნივერსიტეტი, პროგრამა/სპეციალობა მოყვანილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნაშრომის ხელმძღვანელის შესახებ (არსებობის შემთხვევაში) და ბიბლიოგრაფია ინგლისურ ენაზე (გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა);

სტატიის დააბსტრაქტის გაფორმების წესი:

ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს ჩიკაგოს აკადემიური სტილის მიხედვით;

- შრიფტი - Sylfaen;
- შრიფტის ზომა: თემის სახელწოდება, მონაწილის სახელი, გვარი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, აკადემიური ხარისხი, ხელმძღვანელის სახელი, გვარი - 12; ძირითადი ტექსტი - 12.
- ნაშრომის შემადგენელი ნაწილების სათაურები უნდა გაფორმდეს გამუქებული ტექსტით (**BOLD**);
- ციტირება უნდა განხორციელდეს ჩიკაგოს აკადემიური სტილის დაცვით:

წიგნი: ავტორის გვარი, სახელი. *წიგნისსახელი,* ქალაქი, გამომცემლობა, თარიღი.

სტატია: ავტორის გვარი, რამდენიმე ავტორის შემთხვევაში გამოყოფილი მძიმით, "სტატიის დასახელება," *ჟურნალისდასახელება*, გამოცემის ნომერი (წელი): გვერდი.

- სტრიქონებს შორის ინტერვალი 1,5;
- გვერდის საზღვრები - 2,5 ყველა მხრიდან;
- ნახაზები, გრაფიკები, სქემები და ა.შ. - ფორმატში TIFF 300 dpi; 600 dpi;
- ფორმულები უნდა აიკრიფოს Microsoftequation 3.0.

ჩიკაგოს აკადემიური სტილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე www.chicagomanualofstyle.org

შენიშვნა: ყველა ნაშრომი გაივლის შემოწმებას პლაგიატის აღმომჩენ პროგრამაზე : <u>,,turnitin"</u>